# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/301

8 ნოემბერი 2018

ქ. თბილისი

**სტუ-ის ინსტიტუტების დებულების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის № 01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის ინსტიტუტების დებულების დამტკიცების შესახებ (საფუძველი აღნიშნული ინსტიტუტების საბჭოს გადაწყვეტილება):
   - მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;
   - სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;
   - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
   - ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
   - ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;
   - არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;
   - ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დაამტკიცოს მიღებული დადგენილება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი — გ. სალუქვაძე